პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 54 (10751) | სამშაბათი, 5 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა დემოკრატიზმის დიადი დროშით

ახლოვდება საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე — 17 მარტი. საქართველოს მშრომელები ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის ემზადებიან როგორც დიდი, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის.

საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მთელ მსოფლიოში. ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები წარმოებს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

„ასეთი თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, — ამბობდა ამხანაგი ი. ბ. სტალინი, — შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალისტური წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის ბაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში“.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, უზბეკეთში, ლიტვაში, მოლდავეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში 3 მარტს მოეწყო ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. იგი გადაიქცა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად. ამ რესპუბლიკების მშრომელებმა ხმა მისცეს რა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილებს — კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, ამით ხმა მისცეს მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას, ბრძენ კომუნისტურ პარტიას, კომუნიზმის მშენებლობას.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ხვდებიან. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ახალ და ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ შეჯიბრების მონაწილეები, ავრცელებენ მოწინავე გამოცდილებას, ეხმარებიან ჩამორჩენილებს, თავდადებული შრომით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხელს უწყობენ მძლავრ საერთო აღმავლობას.

ათასობით აგიტატორს მასებში მიაქვს პარტიის მართალი სიტყვა, მოუთხრობს მშრომელებს საშინაო და საერთაშორისო ამბების შესახებ, განუმარტავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებს, ამომრჩევლებს აცნობს დეპუტატობის კანდიდატების შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ეწყობა ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან. ეს შეხვედრები ცხადყოფს კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის უძლეველობას, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების მტკიცე დარაზმულობას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არჩევნების წარმატებით მომზადება და ჩატარება დიდად არის დამოკიდებული საარჩევნო უბნების გამართულ, შეუფერხებელ მუშაობაზე. ამომრჩევლები სწორედ აქ ახორციელებენ თავიანთ მაღალ მოქალაქეობრივ უფლებას. ამიტომ ახლა მუშაობის სიმძიმის ცენტრი საარჩევნო უბნებში უნდა გადავიტანოთ.

კარგად არის მოწყობილი თბილისის კიროვის რაიონის № 14 და ქედის რაიონის ზენდიდის № 9 საარჩევნო უბნები, სადაც ხშირად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, კონცერტები, სისტემატურად უშვებენ კედლის გაზეთის „ამომრჩეველის ხმის“ ნომრებს, რომლებშიც საინტერესო, შინაარსიანი მასალებია მოთავსებული. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, აგიტატორები, აქტივისტები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად. ეს საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილი არიან ბათბობით, განათებით, საარჩევნო ლიტერატურით, თვალსაჩინოების მასალებით. აგიტატორები ცოცხალ, მიმზიდველ საუბრებს აწყობენ, ამომრჩევლებს აცნობენ დეპუტატობის კანდიდატთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას.

რესპუბლიკაში ცოტა როდია მოწინავე საარჩევნო უბნები, რომლებიც არჩევნებისათვის მზადების პერიოდში პოლიტიკური, საგიტაციო-მასობრივი და ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობის ცენტრებს წარმოადგენენ. მაგრამ არის ისეთი საარჩევნო უბნებიც, სადაც მუშაობა მოდუნებულია, არ იგრძნობა ამ სახალხო დღესასწაულისათვის მზადების მაჯისცემა.

ზნაურის რაიონის ბეყმარის საარჩევნო უბანი მოუწყობელია, იგი უზრუნველყოფილი არ არის საარჩევნო ლიტერატურით, იშვიათად იღებენ ჟურნალ-გაზეთებს, 42 აგიტატორიდან დიდი უმრავლესობა არ ეწევა საგიტაციო მუშაობას, აგიტატორები სუსტად ერკვევიან არჩევნების დებულებაში, სისტემატურად არ იმართება ლექციები, პოლიტიკური მოხსენებები. უკეთესი მდგომარეობა არც ლენინგორის რაიონის ლარგვისის საარჩევნო უბანშია. ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა ნაწილი ამომრჩეველთა სიაში არ არის შეტანილი.

არჩევნებამდე ბევრი დრო არ არის დარჩენილი. აგიტატორების, საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაკების საბრძოლო ამოცანაა უსწრაფესად აღმოფხვრან თავიანთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, ზედმიწევნით მომზადებული შეხვდნენ არჩევნებს.

კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს საგიტაციო მუშაობა. აგიტაცია უნდა იყოს მიზანსწრაფული, რათა რაზმავდეს მსმენელებს შრომითი გმირობისათვის.

პარტიული ორგანიზაციების ვალია არჩევნებისათვის მზადების პერიოდში სრულყოფილად გამოიყენონ პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა და მეთოდი. ბეჭდვითი სიტყვა და რადიო, კინო და გამოფენები, ლექციები და კონსულტაციები, მოხსენებები და ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, შრომის ვეტერანებთან ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში არ არსებობს წვრილმანი. საარჩევნო უბნებისა და აგიტპუნქტების განათება-გათბობა, მათი უზრუნველყოფა კავშირგაბმულობის საშუალებებით, მომარაგება საარჩევნო დოკუმენტებით, ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილი ოთახების ან კაბინების კარგად მოწყობა, — ეს ისეთი საკითხებია, რომლებზეც ბევრად არის დამოკიდებული მთელი საარჩევნო კამპანიის წარმატება.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების პასუხსაგები ამოცანაა უზრუნველყონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ დონეზე, ორგანიზებულად ჩატარება.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

შორეული აღმოსავლეთის ვეშაპთსანადირო ფლოტილიის „ალეუტის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირში ვეშაპზე ნადირობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, ვეშაპთნადირობის და ვეშაპის ქონის გამომუშავების საწარმოო გეგმების სისტემატური გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგრეთვე საბჭოთა ვეშაპთმონადირე გამოცდილი კადრების მომზადებისათვის **შორეული აღმოსავლეთის ვეშაპთსანადირო ფლოტილია „ალეუტი“** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1957 წ. 2 მარტი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★ ★ ★

რუსთავის მეცემენტეები ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ჩვენი ქალაქის ყველაზე ახალგაზრდა საწარმოს — ცემენტის ქარხნის კოლექტივი აქტიურად ჩაება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მეცემენტეებმა წარმატებით ძლიეს შარშანდელი ჩამორჩენა და მიმდინარე წლის პირველსავე თვეში საწარმოო გეგმა სრული ციკლით შეასრულეს. უკეთეს მაჩვენებლებს მივაღწიეთ თებერვალში. თვიური დავალება ჯერ კიდევ 26 თებერვალს გაანაღდა კლინკერის გამოწვის საამქრომ (უფროსი ვ. ქარუმიძე), მომდევნო დღისათვის საგეგმო დავალება ასევე შეასრულა დამფქვავი საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ვ. აბაიშვილი ხელმძღვანელობს. მთლიანად ქარხნის კოლექტივმა გასული თვის დავალება 2 დღით ადრე გაანაღდა და თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ცემენტი.

გამოწვის საამქროში განსაკუთრებით დაწინაურდა მბრუნავი ღუმელის მემანქანე ნ. პავლიუკი, რომელსაც ცემენტის საწარმოში მუშაობის 20 წლის გამოცდილება აქვს. მან ღუმელის საათობრივი წარმადობა დანადგართა კარგი მოვლის, ღუმელში სათბობის თანაბარი მიწოდების, საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა უნარიანად გამოყენების შედეგად ნორმით გათვალისწინებული 15-ის ნაცვლად 18,5 ტონამდე გაზარდა.

— არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, გავაძლიეროთ იმისათვის ბრძოლა, რომ შემდგომ გავადიდოთ მოწყობილობის საათობრივი წარმადობა, მიხი გამოყენების კოეფიციენტი, 15 ნომბრისათვის გამოვუშვათ 20.000 ტონა ზეგეგმიური ცემენტი — ასეთია მეცემენტეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

ს. შრირო,
რუსთავის ცემენტის ქარხნის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი.

მაღაროელებმა შეასრულეს თებერვლის გეგმა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელმა მაღაროელებმა გააძლიერეს ბრძოლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და არჩევნების დღისათვის — 17 მარტისათვის ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. მუშაობის გარდაქმნამ განსაკუთრებით კარგი ნაყოფი გამოიღო თებერვალში, როდესაც მარგანეცის ტრესტმა თვიური საწარმოო დავალება წარმატებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით მრავალი ათასი ტონა მარგანეცის მადანი მოგვცა.

თებერვალში კარგად იმუშავეს ლენინის, სტალინის, ვოროშილოვისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა.

მშენებლების მხარდამხარ



საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა ამას წინათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში იკისრა კონკრეტულ საწარმოო ვალდებულებათა შესრულება და უკეთესი მაჩვენებლის მისაღწევად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია რესპუბლიკის სამშენებლო ობიექტების ყველა კოლექტივი.

მშენებელთა ამ მიმართვას აქტიურად გამოეხმაურნენ საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტის საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც გადაწყვიტეს მხარი გაუსწორონ მშენებლებს, უზრუნველყონ მათთვის მსხვილი ბლოკების, რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და სხვა სამშენებლო დეტალების მოწოდება ისეთი თანმიმდევრობით, რომ მშენებლებს ხელი არ შეეშალოთ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დათქმულ ვადებზე დამთავრებაში.

ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ საწარმოებში შეუდგნენ მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა ჩამორჩენილთათვის დახმარების გაწევა და ახალმოსულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუშაობის გაჩაღება.

სურათზე: ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ მეორე საწარმოო კომბინატის ლითონდამამუშავებელი საწარმოს ხარატი ბ. კულაკოვი (მარჯვნივ) თავისი მუშაობის ხერხებს ასწავლის არმიის რიგებიდან დემობილიზებულ და საწარმოში ახალმოსულ ლ. გოთვაძეს.

ფოტო შ. გოქაძისა.

ბათუმელი გემშემკეთებლები შრომითს ვახვზე

ბათუმი. (საკ. კორ.). თავდადებულად შრომობენ ბათუმელი გემშემკეთებლები. გამოეხმაურნენ რა რუსთავის მეტალურგების გამოწვევას, მათ ფართოდ გაშალეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება და უკვე მოიპოვეს პირველი თვალსაჩინო წარმატებანი ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში.

ქარხანა გადაჭარბებით ასრულებს თბომავლებისა და გლისერების აგების დავალებებს. გემშემკეთებლებმა იანვარში საექსპლოატაციოდ გადასცეს წელს აგებული პირველი თბომავალი. იგი გეგმით მარტში უნდა გამოეშვათ. ამ დღეებში სოჭის ნავსადგურმა მიიღო კიდევ ერთი კომფორტაბელური თბომავალი „ტურმალინი“, რომლის ჩაბარება გეგმით აპრილში იყო გათვალისწინებული. თბომავალი გულდასმით გამოსცადა სოჭიდან ჩამრსულმა სპეციალურმა კომისიამ. გამოცდამ მისი კარგი სანაოსნო და საექსპლოატაციო თვისებები გამოავლინა. დიდი მოწონება დაიმსახურა თბომავლის მთელმა მოწყობილობამ და მართვის ხელსაწყოებმა, რაც ზეინკალთა და მეაბელეთა იმ ბრიგადების დამსახურებაა, რომლებსაც ნ. გიორგობიანი და მ. შნაიდერმანი ხელმძღვანელობენ.

„ტურმალინი“, ისე როგორც ამ უკანასკნელ ხანებში გამოშვებული სხვა თბომავლები, მნიშვნელოვნად განსხვავდება სერიული წარმოების თბომავლების პირველი ნიმუშებისაგან. გაცილებით უკეთ არის მოწყობილი სამანქანო განყოფილება, გაუმჯობესებულია შიდა მორთულობაც. თბომავალი აღჭურვილია უახლესი სანავიგაციო და რადიოკავშირის აპარატურითა და მოწყობილობით, რაც თვალსაჩინოდ ზრდის მის საექსპლოატაციო თვისებებს.

„ტურმალინი“ უკვე წავიდა სოჭში. 27 თებერვალს დილით თბომავლის კაპიტანი ამხ. სოტნიჩენკო რადიოთი დაუკავშირდა ქარხნის დირექტორს პ. ჯორბენაძეს. რადიოგრამა იტყობინება: „ვუახლოვდებით სოჭს. მექანიზმები შესანიშნავად მუშაობენ. ეკიპაჟის სახელით გთხოვთ გამოუცხადოთ მადლობა უფროს ოსტატს ნ. გიორგობიანს და სამუშაოთა მწარმოებელს კულიშოვს“.

გემშემკეთებლები წელს კიდევ გამოუშვებენ 10 ასეთ თბომავალს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

თევზის მრეწველობის განვითარების საქმეში წარმატებულად მიღწეული ზღვებზე [illegible] ვისების, თევზის დიდი რაოდენობით ჭერის მიღწევისა და თევზის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა **ზღვისპირეთის** და **ხაბაროვსკის** მხარეების, **კამჩატკისა** და **სახალინის** ოლქების თევზის მრეწველობის მუშაკთა და კოლმეურნე მებადურთა დიდი ჯგუფი.

ზღვისპირეთის მხარეში დაჯილდოებულია 780 კაცი, აქედან ლენინის ორდენით — 48, შრომის წითელი დროშის ორდენით — 118, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 242, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ — 372 კაცი.

ხაბაროვსკის მხარეში დაჯილდოებულია 234 კაცი. აქედან ლენინის ორდენით — 11, შრომის წითელი დროშის ორდენით — 30, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 95, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ — 98 კაცი.

კამჩატკის ოლქში დაჯილდოებულია 487 კაცი, აქედან ლენინის ორდენით — 22, შრომის წითელი დროშის ორდენით — 77, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 133, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ — 255 კაცი.

სახალინის ოლქში დაჯილდოებულია 503 კაცი, აქედან ლენინის ორდენით — 31, შრომის წითელი დროშის ორდენით — 81, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 132, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ — 259 კაცი.

შორეული აღმოსავლეთის ვეშაპთსანადირო ფლოტილია „ალეუტი“ სსრ კავშირში ვეშაპზე ნადირობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისა და ვეშაპზე ნადირობის და ვეშაპის ქონის გამომუშავების დავალებათა სისტემატურად გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თვალსაჩინო საწარმოო მიღწევებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა ზღვისპირეთის მხარის თევზის მრეწველობის რვა მუშაკს, ხაბაროვსკის მხარის თევზის მრეწველობისა და მებადურთა კოლმეურნეობების სამ მუშაკს, კამჩატკის ოლქის თევზის მრეწველობის ექვს მუშაკს და მებადურ კოლმეურნეს და სახალინის ოლქის თევზის მრეწველობისა და მებადურთა კოლმეურნეობების ოთხ მუშაკს. (საკდესი).

პირველი ავტომობილები „ვოლგა“

გორკი, 2 მარტი. (საკდესი). გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის გასაღების განყოფილება შეუდგა მომხმარებლებისათვის ახალი მსუბუქი კომფორტაბელური ავტომობილების „ვოლგის“ გაგზავნას.

საბჭოთა მხატვრების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე

მესამე დღეა მოსკოვში მუშაობს მხატვართა ყრილობა. როგორც სამანდატო კომისიის მოხსენებიდან ცნობილია, სხდომებში მონაწილეობს 29 ეროვნების 580-მდე დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ 72 კავშირს. ამ კავშირებში გაერთიანებულია 7 ათასზე მეტი მხატვარი.

* * *

2 მარტის დილის სხდომას თავმჯდომარეობდა უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. დერეგუსი. გრძელდებოდა წაკითხვა თანამოხსენებისა გრაფიკის შესახებ.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დაბადება, აღნიშნულია ამ თანამოხსენებაში, დაიწყო გრაფიკით, პლაკატებით, რომლებიც ისევე როგორც საბრძოლო რევოლუციური სიმღერები, ფართო მასების გულს აღთრთებდნენ მგზნებარე მოწოდებით ოქტომბრის დიად მონაპოვართა დაცვისათვის. სწორედ იმ წლების გრაფიკამ უჩვენა მთელ სახვითი ხელოვნების ფრონტს საბრძოლო დემოკრატიული ხელოვნების მაგალითი, რომელიც დახმარებას უწევს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებას. მისი დამწყებნი იყვნენ ხალხის საყვარელი მხატვრები მოორი, დენი, ჩერემნიხი, ბ. ეფიმოვი, სვაროვი, სამოკიში.

შემდეგ თანამომხსენებელი იძლევა 30-იან წლებში გრაფიკის განვითარების დაწვრილებით მიმოხილვას.

თანამოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა გრაფიკის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათებას. სახვითი ხელოვნების არც ერთ სხვა დარგში არ არის იმდენი საუცხოო ნაწარმოები, როგორც წიგნის ილუსტრაციულ გრაფიკაში. აღიარებულია სადაზგო გრაფიკის ჩამორჩენა. ამის მიზეზი ის არის, რომ მხატვრებს, რომლებსაც აკლიათ მწერლის — წიგნის ავტორის დახმარება, აკლიათ ღრმა და მოფიქრებული მიდგომა ცხოვრებისადმი, უნარი შემოქმედებითად განახორციელონ სინამდვილის ფაქტები მხატვრული სახეებით. მხატვართა შორის ჯერ კიდევ არ გამხდარა ყოველდღიურ წესად მუშაობა მოედნებზე, პარკებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში ალბომით ხელში. მხოლოდ აქტიური შემოქმედებითი ქცევით შეძლებთ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ჩვენი ნახატის კულტურა, რაც საჭიროა თემატურ სადაზგო ნაწარმოებთა გადაწყვეტისათვის.

შემდეგ თანამოხსენებაში აღნიშნულია, რომ დღემდე შეუწყნარებლად მცირე ყურადღება ექცევა გრაფიკული ხელოვნების ისეთ დარგებს, როგორიც არის ესტამპი და სამრეწველო გრაფიკა.

ჩვენი ხელოვნების მთავარმა თემამ თანამედროვეობის, ხალხის ცხოვრების თემამ უფრო ფართო ასახვა უნდა ჰპოვოს გრაფიკის ნაწარმოებებში.

ტრიბუნაზეა ჩეხოსლოვაკიის მხატვართა კავშირის პრეზიდიუმის წევრი ვაცლავ ფორმანეკი, რომელსაც ტაშით ხვდებიან. ჩეხოსლოვაკიის მხატვართა კავშირის სახელით იგი ყრილობასა და საბჭოთა კავშირის ყველა მხატვარს გადასცემს გულწრფელ ძმურ სალამს.

— ჩეხ და სლოვაკ მხატვრებს, — აცხადებს იგი, — თქვენთან, საბჭოთა მხატვრებთან, აერთიანებს საერთო მისწრაფება თავიანთი ხელოვნებით ემსახურონ ახალ საზოგადოებრივ წყობილებას.

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა სახელით მხატვრებს გულითადი სალამი გადასცა და გულწრფელად უსურვა წარმატება შემოქმედებით მუშაობაში ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ა. ბუიანოვმა. შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ მას.

დილის სხდომაზე წაკითხულ იქნა რუსეთის სფსრ სახალხო მხატვრის ნ. ტომსკის თანამოხსენება სკულპტურის შესახებ.

თანამოხსენების დასაწყისში ნათქვამია, რომ საბჭოთა რეალისტური სკულპტურის დაბადება და ფორმირების საწყისი ეტაპი განუყოფლად დაკავშირებულია რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახელთან, მონუმენტური პროპაგანდის ლენინურ გეგმასთან. ამ გეგმით, როგორც ცნობილია, რეალური გამოსახულება ჰპოვეს ლენინის მოძღვრების ძირითადმა დებულებებმა სოციალისტური კულტურის შესახებ, რომელიც თავისი ხასიათით პარტიული და ღრმად ხალხურია.

საბჭოთა სკულპტორებმა საბჭოთა სახელმწიფოს ორმოცი წლის არსებობის მანძილზე ცოტა მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ნაწარმოება როდი შექმნეს. საბჭოთა ხელოვნების ოქროს ფონდში შეიდინენ ნ. ანდრეევის განთქმული „ლენინიანა“, ი. შადრის „ქვა პროლეტარიატის იარაღია“ და მისივე ლენინის ძეგლი ხაჰესში, ვ. მუხინას „მუშა და კოლმეურნე ქალი“, ლ. შერვუდის „გუშაგი“ და ბევრი სხვა გამოჩენილი ქმნილება.

ცნობილია მიღწეული მონუმენტური სკულპტურის დარგში ომისშემდგომ წლებში. სკულპტორებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროს ახალი სადგურების, ლენინის გორაზე მოსკოვის უნივერსიტეტის, ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის წანაოსნო არხის, სრულიად სა-კავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გაფორმებაში, ხელოვნების დიდ მოვლენას წარმოადგენს ბერლინის ძეგლი — ანსამბლი, მიძღვნილი საბჭოთა მეომრებისადმი, რომლებიც დაეცნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში (ავტორები — სკულპტორი ე. ვუჩეტიჩი, არქიტექტორი ბელოპოლსკი და მხატვარი გორპენკო). საინტერესოა საბჭოთა კავშირის გმირების ბიუსტების სერია.

უკანასკნელი წლების საუკეთესო მონუმენტურ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნიან ა. მ. გორკის ძეგლი მოსკოვში, რომელიც შეასრულეს ვ. მუხინამ, ზ. ივანოვამ და ნ. ზელენსკაიამ ი. შადრის პროექტით, ქართველი ხალხის პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის შთაგონებული რომანტიკული სახე შექმნა თბილისში კ. მერაბიშვილმა.

ამასთან ერთად მონუმენტური სკულპტურის დარგში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. დღემდე დედაქალაქში არა გვაქვს კომუნიზმის ფუძემდებლების — მარქსისა და ენგელსის ძეგლი, არა გვაქვს დიდი ლენინის ძეგლი. საჭირისას ჩვენი ოსტატები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ უბრალო მშრომელი ადამიანის პორტრეტს.

სამართლიანად არის აღნიშნული, რომ უკანასკნელ წლებში სკულპტურის დარგში შესამჩნევი იყო ერთგვარი უძრაობა, სწრაფი ზრდის უქონლობა. უნდა ვიბრძოლოთ ისეთ ნაწარმოებთა შექმნისათვის, რომლებიც აღელვებენ ადამიანს და აღუძრავენ საუკეთესო გრძნობებს.

სიტყვა თანამოხსენებისათვის დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების შესახებ ეძლევა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს ა. სალტიკოვს.

იგი ამბობს, თუ რა დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამოყენებითს (ანუ დეკორაციულ) ხელოვნებას ხალხის ცხოვრებაში და მაინც გამოყენებითი ხელოვნება ჩამორჩება ხალხის მოთხოვნებს.

შეეხო რა ხალხური შემოქმედების ტრადიციებს, ა. სალტიკოვმა მოუწოდა დამსწრეთ გაუფრთხილდნენ და გონივრულად გამოიყენონ ის ტრადიციები, აგრეთვე შექმნან ახალი მხატვრული ფორმები.

ეხება რა უცხოთის მხატვრულ გამოცდილებას, ა. სალტიკოვი მწუხარებას გამოთქვამს, რომ ჩვენ არა გვაქვს საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიო გამოყენებითი ხელოვნების შესახებ. ხშირად სამრეწველო პრაქტიკაში გვხვდება არაკრიტიკული მექანიკური გადმოღება უცხო წარმოშობის ნიმუშებისა, რომლებიც სრულიადაც არ არის საუკეთესო.

ა. სალტიკოვს მიაჩნია, რომ მხატვრულ ნაწარმოებთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა გაძლიერდეს ხალხურ სარეწებსა და მრეწველობაში მომუშავე მხატვართა როლი.

ა. სალტიკოვმა თავის თანამოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო კადრების მომზადებისა და შრომითი მოწყობის პრობლემას.

2 მარტის საღამოს სხდომის თავმჯდომარე ლიტვის სსრ სახალხო მხატვარი ი. მიკენასი სიტყვას აძლევს რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. ლადურს. ორატორმა აღძრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება იმას, რომ მხატვრები ჩაებან ქალაქების დეკორაციულ და არქიტექტურულ გაფორმებაში.

უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. დერეგუსმა ილაპარაკა უკრაინის სახვითი ხელოვნების განვითარების შესახებ.

შემდეგ ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ტ. შეპილოვმა, რომელსაც ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

2 მარტის საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე მ. ტარლანოვი (აზერბაიჯანი), დ. სევშნიკოვი (არხანგელსკი), ს. კონენკოვი (მოსკოვი) და სხვები.

* * *

3 მარტს საბჭოთა მხატვრების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

ტრიბუნაზეა ბულგარელ მხატვართა კავშირის მთავარი მდივანი, დამსახურებული პროფესორი ივანე ფუნევი, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა და ბულგარეთის მხატვრების ნაყოფიერი მეგობრობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ყრილობაზე, სახვითი ხელოვნების იმ პრობლემებზე, რომლებიც ყრილობაზეა დასმული, მათს გადაღულ და სწორ გადაწყვეტაზე მეტწილად დამოკიდებული იქნება მომავლის რეალისტური ხელოვნების განვითარების მსვლელობა.

მოხსენება ლიტვის სახვითი ხელოვნების შესახებ გააკეთა ვ. მაკიავიჩუსმა.

საბჭოთა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების მდგომარეობისა და განვითარებისადმი იყო მიძღვნილი რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. აკიმოვის თანამოხსენება.

დარბაზი ერთსულოვანი ტაშით ხვდება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნამხაიცერენს, რომელიც ყრილობას მიესალმება ყველა მონღოლი მხატვრის სახელით.

სიტყვას ამბობს ბელორუსიის საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარე პ. გავრილენკო.

მხატვრული კრიტიკის მდგომარეობის ზოგიერთ საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა დ. სარაბიანოვმა (მოსკოვი).

ს. ბამბაევმა (ყაზახეთის სსრ) თავის სიტყვაში ილაპარაკა ყაზახეთში ხელოვნების დაწყებისა და განვითარების გზაზე საბჭოთა სინამდვილის პირობებში, როცა გაჩნდნენ პირველი პროფესიონალი მხატვრები.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბ. ეფიმოვმა (მოსკოვი).

ყრილობას მიესალმა საბჭოთა არქიტექტორების დელეგაცია.

სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ფავორსკი (მოსკოვი), რომელმაც დაახასიათა დეკორაციული ხელოვნების მდგომარეობა.

(საკდესი).

პარტიული ცხოვრება

მეცადინეობის თეორიული დონე დაბალია

როცა პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება მიმდინარეობდა, სოფელ ატენის (გორის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციაში კომუნისტებმა ისურვეს მიმდინარე პოლიტიკის წრეში მეცადინეობა. მათი სურვილი გათვალისწინებულ იქნა— ჩამოყალიბდა ამ ტიპის წრე. პროპაგანდისტად დამტკიცებულ იქნა მასწავლებელი ამხ. ი. ჯიოშვილი.

პროპაგანდისტსა და მსმენელებს ყველა შესაძლებლობა აქვთ, რომ წრეში მეცადინეობა საინტერესოდ და მაღალ თეორიულ დონეზე ეწყობოდეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. პროპაგანდისტი ამა თუ იმ თემის შესწავლისას მსმენელებს არ მიუთითებს ლიტერატურაზე, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეულ ნაშრომებზე, მხატვრულ ნაწარმოებებზე. ამის გამო ისინი თემის მომზადებისას კმაყოფილდებიან მარტო გაზეთით, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. პროპაგანდისტი ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს მსმენელებს გაუღვიძოს ინტერესი წაგნისადმი, შეაჩვიოს მასზე მუშაობას, მაგრამ ამხ. ჯიოშვილი ამას არ აკეთებს. პირიქით, თვითონაც ამა თუ იმ თემის მომზადებისას ნაკლებად სარგებლობს პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით, კმაყოფილდება მარტო გაზეთის მასალებით, რაც იწვევს იმას, რომ მეცადინეობა დაბალ თეორიულ დონეზე ეწყობა. პროპაგანდისტი თავს იმით იმართლებს, რომ პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობაზე მისთვის ლიტერატურა არ დაუსახელებიათ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სემინარის მუშაობაც ვერა დგას ჯეროვან სიმაღლეზე, იგი სასარგებლო მითითებებს, რჩევა-დარიგებას ვერ აძლევს პროპაგანდისტებს, არ იბრძვის მათი მეთოდური დაოსტატებისათვის.

ყოველივე ეს ნათლად გამომჟღავნდა წრის ერთ-ერთ მეცადინეობაზე, მსმენელებთან და პროპაგანდისტთან საუბარში.

— რა მასალებით მოემზადე მეცადინეობისათვის? — ვკითხე მსმენელს, კომუნისტ ა. შავდათუაშვილს.

— გაზეთის მასალებით...

— გაზეთს ხომ ისეც კითხულობ?..

— კი, როგორ არა.

— მაშ წრეში მეცადინეობით რას იძენ?

— იგი გვეხმარება წაკითხულის უფრო კარგად გაგებაში.

წრეში თემები „უნგრეთში მომხდარი ამბები“, „ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ინტერვენცია ეგიპტის წინააღმდეგ“ ისე შეისწავლეს, რომ არცერთი წიგნი არ მოუშველიებიათ. პროპაგანდისტს უნგრეთის ამბებთან დაკავშირებით უნდა მიეთითებინა ლენინის წერილებზე უნგრეთის შესახებ („სალამი უნგრელ მუშებს“, რადიოდეპეშა ბელა კუნისადმი და სხვ.). მაშინ მსმენელებისათვის უფრო გასაგები გახდებოდა უნგრეთში მომხდარი ამბები.

წრის ერთი მორიგი მეცადინეობის თემა იყო „საბჭოთა საარჩევნო სისტემა“. პროპაგანდისტმა ი. ჯიოშვილმა მსმენელებს ზეპირად გამოჰკითხა წინა მეცადინეობაზე ახსნილი საკითხები, დაკმაყოფილდა მოკლე პასუხებით. მსმენელებმა უპასუხეს კითხვებზე: ვის აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რამდენი წლის მოქალაქე შეიძლება არჩეულ იქნას ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად, რას ნიშნავს თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება, ფარული კენჭისყრა და სხვ. მაგრამ მეცადინეობაზე არაფერი თქმულა საბჭოთა საარჩევნო სისტემის ყოველმხრივ უპირატესობაზე ბურჟუაზიულთან შედარებით და სხვ. არაფერი უთქვამთ ლენინის იმ შრომებზე, სადაც მხილებულია ბურჟუაზიული დემოკრატია და ბურჟუაზიული საარჩევნო სისტემა.

შემდეგ პროპაგანდისტმა მსმენელებს აუხსნა ახალი თემა: „მიმართვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსი კოლმეურნეებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისადმი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისადმი, სპეციალისტებისა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი“. პროპაგანდისტმა ამ მიმართვიდან მოიყვანა ზოგიერთი ციფრები და ფაქტები. მაგრამ მას ხაზი არ გაუსვამს იმისათვის, რომ ეს დოკუმენტი გამსჭვალულია პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვით საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის, რომ ამ მიმართვამ მასების ახალი შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვია. ცნობილია, რომ წითელწყაროელ კოლმეურნეთა ინიციატივით საქართველოს კოლმეურნეებსა, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და მექანიზატორთა შორის გაჩაღდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. საჭირო იყო პროპაგანდისტს ეთქვა, თუ როგორ მიმდინარეობს კოლმეურნეობაში წითელწყაროელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად აღებულ ვალდებულებათა განხორციელება და მსმენელები დაერაზმა თავიანთ ვალდებულებათა უკეთ შესრულებისათვის.

წრეში მეცადინეობა მსმენელებს უნდა აძლევდეს პოლიტიკურ წრთობას, უნდა აიარაღებდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიით. ამიტომ მათ მარტო უკანასკნელ ამბებს კი არ უნდა ვაცნობდეთ, არამედ უნდა ვასწავლიდეთ დამოუკიდებლად, მარქსისტულად ერკვეოდნენ ცხოვრების მოვლენებში. ასე კი ჯერ ვერ მუშობს ატენის კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი მიმდინარე პოლიტიკის წრე.

წრის მუშაობაში სხვა ნაკლოვანებებიც არის. დაბალია მსმენელთა აქტივობა, არის გაცდენა-დაგვიანების შემთხვევები. წრის მსმენელი, კომუნისტი ს. ხუციშვილი არცერთ მეცადინეობას არ დასწრებია. გ. ზერეკიძეს შვიდი მეცადინეობა აქვს გაცდენილი, ხოლო ა. ჯაფარიძეს — ოთხი.

ატენის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა აღმოფხვრას მიმდინარე პოლიტიკის წრის მუშაობაში არსებული ეს ნაკლოვანებანი. ამ საქმეში მას პარტიის გორის რაიკომმა, კერძოდ მისი პარტიული განათლების კაბინეტმა მეტი დახმარება უნდა გაუწიოს.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სააგიტაციო მუშაობა გაძლიერდა

ხაშური. (საკ. კორ.). რაიონში დღითიდღე ძლიერდება მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ახლანდელ მარტეხილს მუშაობას ეწევა 39 აგიტპუნქტი, რომლებშიც 1.050-ზე მეტი აგიტატორია გაერთიანებული.

სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის აგიტატორი თამარ ოგანოვი თავის საუბრებს მჭიდროდ აკავშირებს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების მომზადებასთან. გომის მტს-ის მექანიზატორთა შორის სააგიტაციო მუშაობას ეწევა მ. ჩოჩიშვილი. მისი ერთ-ერთი საუბრის თემა ასეთი იყო: „ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და მექანიზატორთა ამოცანები“.

მაღალმთიან რაიონში

ხულო. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ხვდებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს. სათამბაქოე ნაკვეთებს წმენდენ ხმელი ღეროებისაგან. შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული სათბურებში თამბაქოს თესვის მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად.

რაიონის ცენტრში და სოფლებში ფართოდ გაიშალა წინასაარჩევნო საagიტაციო-მასობრივი მუშაობა. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ ამომრჩევლებთან შორეული და მაღალმთიანი სოფლების რიყეთის, დიოკნისის, ხიხაძირის და კორტოხის საარჩევნო უბნებთან შექმნილი აგიტპუნქტები, რომელთა გამგეები არიან ე. ბოლქვაძე, ა. გორგილაძე, ო. ოჩიგავა და კ. გობრონიძე. ეწყობა საღამო-წარმოდგენები და კონცერტები. . რაიონის ყველაზე შორეული სოფლის დორჯომის კულტურის სახლმა მოამზადა ა. ყაზბეგის პიესა „არსენა“, რომელიც უკვე უჩვენა დორჯომის, დიოკნისის ამომრჩევლებს. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე ღურტის სასოფლო კლუბი, რომელიც სოფლებში მართავს სპექტაკლებსა და კონცერტებს.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

როგორ მოვიყვანეთ ხახვის უხვი მოსავალი

გასულ წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად ბოსტნეულის კარგი მოსავალი მიიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხახვისა და ხახვის თესლის უხვი მოსავლის მოყვანა.

კოლმეურნეობას შარშან 25 ჰექტარი ხახვი ეთესა. ამ ნათესი ფართობიდან მიღებულია 247 ტონა ხახვი და 3,16 ტონა ხახვის თესლი. აქედან შემოსავალმა 200 ათას მანეთს გადაამეტა, ხოლო კოლმეურნეების მიერ გამომუშავებულ თვითეულ შრომადღეზე 1,1 კილოგრამი ხახვი გაიცა.

ი. ალიევი.

14 წელია კოლმეურნეობაში ბრიგადირად ვმუშაობ. ბოსტნეულის ნათესს საუკეთესოდ ვუვლით, დაუფლებული ვართ ხახვის მოყვანის მაღალ აგროტექნიკას. 2 ჰექტარი ნათესი ფართობიდან 48 ტონის ნაცვლად 70 ტონა ხახვი მოვიყვანეთ, ნახევარი ჰექტარი სათესლე ხახვიდან გეგმით გათვალისწინებული 200 კილოგრამის ნაცვლად მივიღეთ 406 კილოგრამი ხახვის თესლი.

ამ წარმატებას მივაღწიეთ ბრიგადაში შრომის მოწესრიგებისა და აგროტექნიკის სრული კომპლექსის მთლიანად განხორციელებით. მოსავლიანობის გადიდებისათვის ზრუნვას შემოდგომიდან ვიწყებთ. როგორც ცნობილია, ხახვის კულტურა ზედმიწევნით სუფთა, სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილ მსუბუქ, ნოყიერ და კარგად დამუშავებულ ნიადაგს მოითხოვს. ამიტომ წინამორბედი კულტურების აღებისთანავე ნაკვეთს გასუფთავებთ და ნიადაგს ვხნავთ მზარალად 22-25 სანტიმეტრის სიღრმეზე. ნიადაგის დამუშავებისას ნაკვეთს ვწმენდთ წინამორბედი კულტურების ნარჩენებისა და ფესვებისაგან.

ადრე გაზაფხულზე ნიადაგს ვფარცხავთ, შემდეგ ვატარებთ თესვისწინა კულტივაციას და კვლავ ვფარცხავთ. ხახვი ნიადაგს საკვები ნივთიერებებისადმი დიდ მოთხოვნას უყენებს. ამიტომ მას ვთესავთ წინა ან იმავე წელს განოყიერებულ ნაკვეთზე. გადამწვარი ნაკელი ხახვისათვის საუკეთესო სასუქია, ამიტომ საშუალოდ ჰექტარზე 20-30 ტონა ასეთი ნაკელი შეგვაქვს. გარდა ამისა, სახახვე ნიადაგში ჰექტარზე შეგვაქვს 400 კილოგრამი ფოსფოროვანი, 200 კილოგრამი აზოტოვანი და 150 კილოგრამი კალიუმიანი სასუქი.

ხახვს საერთოდ ვთესავთ 2-3 მწკრივიან ზოლებად. წელს ეს კულტურა აგროტექნიკურ ვადებში დავთესეთ. მწკრივებს შორის 20 სანტიმეტრ მანძილს ვტოვებთ, ხოლო ზოლებს შორის 50 სანტიმეტრს. ხახვის აღმოცენებამდე ნათესებს სამჯერ ვრწყავთ, ხოლო დათესვიდან ბოლო დათესვებამდე 8-9-ჯერ.

ნათესები გვაქვს სუფთა მდგომარეობაში. ზაფხულში ნიადაგს ექვსჯერ ვაფხვიერებთ. ამ ღონისძიებას ვიმეორებთ ქერქისა და სარეველა ბალახების გაჩენასთან დაკავშირებთ, ამავე დროს ხელით ვმარგლით და ხახვის ძირებთან ნიადაგს ვაფხვიერებთ ორჯერ.

ხარისხოვანი ბოლქვების მისაღებად მწკრივში საჭიროა სათანადო მანძილების დაცვა. ამისათვის სამჯერ ვახდენთ ნათესის გამოხშირვას.

ხახვის მოსავლის აღებას ვიწყებთ მშრალ ამინდში. ბოლქვებს შეშრობის მიზნით თხლად ვაფენთ ნიადაგზე, ვტოვებთ მთელ დღეს და შემდეგ ვაჭრით ფოჩებს. საბოლოოდ გასაშრობად ხახვს ვათავსებთ სპეციალურ ფარდულში, სადაც ქარი თავისუფლად მოძრაობს.

მებოსტნეობა მაღალშემოსავლიანი დარგია. იგი ადამიანისათვის აუცილებლად საჭირო და სასარგებლო პროდუქტებს იძლევა. ჩემი აზრით, ცუდი არ იქნება, რომ ჩვენი რესპუბლიკის იმ კოლმეურნეობებში, სადაც ხახვის კულტურა ხარობს, იგი უფრო ფართოდ განვავითაროთ.

ისრაფილ ალიევი,
ბოლნისის რაიონის სოფელ სარაჩლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

კოლმეურნეები პიროობას ანაღდებენ

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ ლეხის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა ჩაება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

ლესელი კოლმეურნეები საქმით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებას. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციებში ნიადაგის გადაბარვა ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქის შეტანით. ის ბრიგადა, რომელსაც ი. სარჯველაძე ხელმძღვანელობს, ჩაის პლანტაციებში საღრენაჟო ქსელის გაყვანისა და ძველი რემონტის ყოველდღიურ გეგმას ორმაგად ასრულებს.

შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში დაწინაურდნენ აგრეთვე ის ბრიგადები, რომელთა ხელმძღვანელები არიან შ. პატარაია და ბ. ზენნიშვილი, მერგოლურები მ. მშვიდობაძე, ნ. კვაჭაძე და შ. ბარამიძე.

კოლმეურნეობის წევრები წელს იბრძვიან იმისათვის, რომ 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 ათასი კილოგრამისა.

სომეხ მეკონსერვეთა დელეგაცია ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია გრძელდება ურთიერთობა ჩვენ ქვეყანასა და ინდოეთს შორის. ინდოეთიდან ჩამოსულ სომეხ მეკონსერვეთა დელეგაციას ოქტომბერიანის და საქართველოს სსრ ქუთაისის საკონსერვო ქარხნების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება.

ამას წინათ ქუთაისში ოთხ დღეს დაჰყო სტუმრად სომეხ მეკონსერვეთა დელეგაციამ ოქტომბერიანის საკონსერვო ქარხნის დირექტორის ე. მარქარიანის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ქარხნის პარტბიუროს მდივანი მ. მკრტჩიანი, მოწინავე მუშა ვ. ოგანიანი, საამქროთა უფროსები ვ. ერგანდიანი, გ. ავეტისიანი, ცვლის ინჟინერი ვ. სოღომონიანი, ლაბორატორიის გამგე ზ. ჩენჩენკო და სხვ. — სულ 11 კაცი.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი იყო ქუთაისელ მეკონსერვეებთან სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგების შეჯამება და 1957 წლისათვის ახალი სოციალისტური ხელშეკრულების გაფორმება. ორივე ქარხნის კოლექტივებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. სომეხ მეკონსერვეთა ქუთაისში ყოფნა საბჭოთა საქართველოს 36-ე წლისთავს დაემთხვა. სტუმრებმა ქუთაისელ თანამოძმეებს სიჩუქრად ჩამოუტანეს ძვირფასი ხალიჩა, რომელზეც წარწერილია: „მოძმე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავის აღსანიშნავად ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივს, სომხეთის სს რესპუბლიკის ოქტომბერიანის საკონსერვო ქარხნის კოლექტივისაგან“.

სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ქუთაისის საკონსერვო ქარხნის საამქროთა მუშაობას, დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. მასპინძლებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აღმოვუხვრათ ჩამორჩენა რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში“

საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობის, ტექნიკის არასრული სიმძლავრით გამოყენებისა და შახტებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის ჩვენი გაზეთის გასული წლის 17 ნოემბრის მოწინავე წერილში „აღმოვფხვრათ ჩამორჩენა რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში“ გაკრიტიკებული იყო საქართველოს ქვანახშირის კომბინატის, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტისა და ახალციხის შახტსამმართველოს ხელმძღვანელობა.

დაადასტურა რა მოწინავე წერილში მოყვანილი ფაქტების სისწორე, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ფ. ნაჯუეშიამ ამავე დროს რედაქციას აცნობა შემდეგი:

ბოლო თვეებში საგრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა ახალციხის მოქმედმა შახტებმა (№ 1 და № 2). მიუხედავად ამისა, მთლიანად სამმართველო მაინც ჩამორჩება. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ გაჭიანურდა მესამე შახტის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებში ჯერ კიდევ ბევრია ნორმალური მუშაობის შემაფერხებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური მიზეზები, მათი ლიკვიდაციისათვის და სამუშაო ფრონტის მოსამზადებლად დაისახა და ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვანახშირის მოპოვების გეგმების წარმატებით შესრულებას.

ტყვარჩელის შახტებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნა ტრესტის მმართველი ამხ. ჯ. გამხარაშვილი.

ნათელ გზაზე

კალენდარული გაზაფხული აქ იმ დროსაც მოდიოდა, როცა კოდისწყლის პირას უძველეს დროში სოფელი ყოფილა. მიწის წიაღში დამარხულ ამ სოფლის სიძველეებს ახლა ტრაქტორისტები აწყდებიან ხვნის დროს.

ამ ნასოფლარზე გაშენებულ აგრეთვე უძველეს სოფელ გალავნის ნამდვილი გაზაფხული ოცდარვა წლის წინათ დაუდგა, როცა დრომოჭმული მიჯნები აიყარა და სოფელმა კოლექტიურად შეუტია არაგვის მარჯვენა ნაპირის მინდვრებს, გაერთიანებული ძალებით დაჰკრა მიწას.

ეს ნამდვილი გაზაფხული ამ ოცდარვა წლის წინათ აქ, ქართლის ამ სოფელში, ისევე როგორც მთელი საბჭოთის სოციალისტურ მინდვრებში, დაამკვიდრა კომუნისტურმა პარტიამ.

გენიალური ლენინის წინასწარდასახულობას ხორცი შეასხა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი.

დღეს გალავანშიც გაზაფხულია — კალენდარულიც და სულიერიც.

გაზაფხული უმშვენიერესი დროა ქართლში — როცა ბაღებს კვირტები დაებერებათ, როცა თბილი ნიავი დაჰქროლებს, თოვლის ფთილები მთის ფერდობებსღა შერჩება, როგორც მოსარკულ ცას დარის თეთრი ღრუბლები, როცა ბუნება იღვიძებს, ხეში წყალი დგება, მინაბული ნაკადულები აღუღუნდებიან, ხნულებიდან ოხშივარი ამოდის და თბილი მიწის სასიამოვნო სუნი ჰაერში ტრიალებს, როცა ჩიტები მთების თავზე კამარას ჰკრავენ დარის ნიშნად.

გაზაფხულია ქართლში! მდინარეებიც კი ხარობენ და ლაღობენ, გაზაფხულს მიესალმებიან. აი, გორის კართან ერთი მგზავრია, მთიდან ჩამოსული და ამიტომ თითქოს ცოტათი დაღლილი, მაგრამ საყვარელ დასთან შეხვედრით გახარებულს ზვირთები აუთამაშებია და ფაფარი აუყრია. ისმის მათი ტკბილი ღუღუნი, როცა ერთმანეთს მიესალმებიან, ხელს მაგრად ართმევენ და



კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. სინაძე (მარცხნივ) და ტრაქტორისტი ვ. მოხევიშვილი ამოწმებენ ხვნის ხარისხს.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

○ ○
სოფელ გალავნის
ი. ბ. სტალინის სახელობის
კოლმეურნეობაში
○ ○

ერთურთს ეჩუმიან, და ამ ღუღუნიდან თითქოს გამოირჩევა სიტყვები: — „გამარჯობა, გაზაფხულო!“ და შემდეგ, ერთად ქცეული ორი დობილი — მტკვარი და არაგვი ერწყმის ერთმანეთს. ეს — საქართველოს გაუშლია თავისი ორი დიდი მკლავი და გულში ჩაუკრავს შვილი თვისი — ერთი მუჭა, მაგრამ დიდებული და ზვიადი, ძველი, მაგრამ მარად უჭკნობი და ახალგაზრდა — მცხეთა.

აი ამ მცხეთას ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვით ციხის ქონგური, თავს ადგას ზედაზნისა და საბადურების მთებში მოქცეული უძველესი სოფელი ქართლისა — გალავანი, დიდი ილიას საგურამოს მეზობელი სოფელი.

დადექით მის მაღლობზე ცოტა ხნით და მზერა მიაპყარით შორეულ სივრცეს! — არ შეიძლება ერთი ცნობილი სურათი არ მოგაგონდეთ: სტალინი საზაფხულო თეთრი კოსტიუმით, მარცხენა მკლავზე გადაკიდებული მოსასხამით, უქუდოდ, დილასავით მოღიმარი რომ გასცქერის დიდებულ სამშობლოს, რომელიც დღეს არის, სამშობლოს, რომელიც ხვალ უფრო დიდებული იქნება. „ჩვენი სამშობლოს დილა“ ჰქვია ამ სურათს. ეს თითქოს სადღაც აი აქ, ამ მიდამოების ფონზე, ქართლის ფონზე დაუხატავს მხატვარს. ნაცნობია ეს დილა, ეს მზე, ეს ცა, ეს სივრცე — ველები, მთები, ინდუსტრიის სუნთქვა, დარის თეთრ ღრუბლებთან შეერთებული...

ახლა გალავანში სიცოცხლე დუღს, ბუნება და ადამიანი ზეიმობენ, კოლექტიური შრომა ზეიმობს. ძალუმი ტრაქტორები არაგვის მარჯვენა ნაპირის მიწებზე ბელტს ბელტზე აწვენენ, იმ კოლექტივის მიწებზე, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს. რკინის გოლიათებს საჭესთან უსხედან ჯმუხა, მკლავმაგარი ქართველი ბიჭები. ერთი მათგანი ლავრენტი ფრიდონაშვილია — მცხეთის მტს-ის მექანიზატორი. რუსი ძმებისაგან სტალინგრადიდან მიღებული „სტზ“-ით ხნავს ქართლის საკოლმეურნეო მიწებს დიდ სამამულო ომში სტალინგრადისათვის ბრძოლის მონაწილე ქართველი ვაქაცი. ერთმანეთს შესჯიბრებიან ტრაქტორისტები ვალერიან მოხევიშვილი და ლავრენტი ფრიდონაშვილი, ბაგრატ ბაზალელი და გოგი ეიეიაშვილი...

ამ ხნულებში გაღვივდება თესლი და გვიან გაზაფხულზე მწვანედ აბიბინდება.

ინდუსტრიის მაჯისცემა შემოჭრილა ქართლის მინდვრებში, ზედაზნისა და საბადურების მთებს დღედაღამ ესმით ტრაქტორების გუგუნი.

ფერდობებზე, მინდვრებზე ნორჩი ბაღახი ამოწვერილა. კოლმეურნეობის ცხვარი შეფენია მას — თოვლი ცხვრის ფარას შეუცვლია. მწყემსებს ძველი ტაკლის ხის ქვეშ ჩაუმუხლავთ და მოგუგუნე ტრაქტორებისაკენ მიუპყრიათ მზერა.

— ჰმ, მეღიმება რომ მაგონდება, — ამბობს ერთი მათგანი, ძველი მწყემსი და პირველი კოლმეურნე პავლე ედიშერაშვილი.

— რაო, პავლე, რა გაგონდება?

— პირველი ტრაქტორის შემოსვლა... შენ გახსოვს?

— მახსოვს. რატომ.

— კულაკი გიგო დაგვციხოდა, ბიჭო, ზაქაროელი გიგო, აიმ მთაზე რომ ცხოვრობდა. მოკვდა ხო .კი ხანია. ჭამეთ ახლა მაზუთიანი პური. ტრაქტორის მოყვანილი პური რა უნდა იყოს, ბენზინი დაგიწვავთ თესლსაო, რას არ გამოიგონებენ ბოლშევიკებიო...

— აბა კავითაო? — შეეკითხა მწყემსი ვანო ჩონიაძე.

— კავითაო, მაშა. კაცო, პირველში არ დაიწყეს ამ ბიჭებმა? დღეს ოთხია და ე ამოდენა მიწა როგორ გადახნეს, ხედავ?!

— კავით რომ გვეხნა, ჩვენი შვიდასშვიდასი შრომადღე აბა რა ეღირებოდა, გროშები! ასე არ არი? — ჩაურთო ვანომ.

...ვენახებში ფუსფუსია, ნიადაგს ამუშავებენ, სასუქი შეაქვთ, ზოგან სხლავენ. ათობით ჰექტარზე ხარობენ რქაწითელი და ალიგოტე, გორული მწვანე და პინო, ჩინური მწვანე და საფერავი. მაგრამ ეს ეცოტავებათ გალავნელებს — ას ჰექტარამდე აჰყავთ ხუთწლედის ბოლოსათვის ვენახის ფართობი.

კვირტები დაბერვიათ გაზაფხულის პირველ მახარობლებს — ატმებსა და ალუბლებს, ქლიავსა და ბალს, გარგარსა და ჭერამს. მალე თეთრად და ვარდისფრად აფერადდებიან საკოლმეურნეო ბაღები.

მეცხოველეობის ფერმებში მოზიდეს ავტოსაკვებურებისა და საპაერო რკინიგზის მასალები. იქით სახბორეს აგებენ, აქეთ ათასი ფრთა ფრინველის ფერმას აშენებენ. არაგვიდან წყალი გადმოჰყავთ — ხუთწლედის ბოლოს ასობით ჰექტარი მიწა მოირწყვება გვალვიანში და ნატვრის თვალს ჩაიყენებს.

მეცხვარეებს დიდი შრომა აწევთ — დოლი დაიწყო. პირველი ოცი ბატკანი მოეკლინა ფერმას.

...ტრაქტორები და კომბაინები, ავტომობილები და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, სკოლები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, კლუბი და სამკითხველო, საექიმო უბანი და ვეტერინარული პუნქტი, ახალი კეთილმოწყობილი სახლები, შეძლებული და კულტურული ცხოვრება, — აი რა მოუტანა საკოლმეურნეო წყობილებამ — დიადმა წყობილებამ გალავნელ და წინამძღვრიანთკარელ, ზაქაროელ და ჭილაანთკარელ გლეხებს.

ადამიანებიც გარდაიქმნენ შრომაში და მოწინავენი, წარჩინებულნი გახდნენ, რადგან შრომის შედეგებს უხვად იმკიან. მევენახეები ივანე ბატიაშვილი და რუბენ ამირხანაშვილი, მებოსტნეები ვასილ ჭინჭარაშვილი და მიხეილ ამირხანაშვილი, მეცხოველეები ვანო ჩონიაძე და პავლე ედიშერაშვილი, მწველავები ნატაშა კახაბერაშვილი და ევა ამირხანაშვილი და მრავალი, მრავალი სხვა მისაბაძი ადამიანები გახდნენ — ხუთას-ექვსასი შრომადღე აქვს თვითეულს გამომუშავებული. კოლმეურნეობა შარშან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლებით. კოლმეურნეობამ და მისმა თავმჯდომარემ მიხეილ სინაძემ გამოფენის მედლებიც მოიპოვეს.

რაკი შეძლებული ცხოვრება დამკვიდრდა, კოლმეურნეები წელში გაიმართნენ — ახალი ბინები აუშენა კოლმეურნეობამ თავის აქტიურ წევრებს გრიგოლ მარტოძეს და ტატე დორეულს. ბინები აიშენეს კოლმეურნეებმა იაგორ გონიაძემ და სოლომონ დორეულმა. ახალ კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობენ ახლა მათი ოჯახები.

...სოფელში დიდი გამოცოცხლებაა, ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. რვაას ოთხმოცდახუთი ამომრჩეველი ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ოცდათხუთმეტი ამომრჩეველი პირველად ასრულებს თავის საპატიო მოქალაქეობრივ მოვალეობას — პირველად მისცემს ხმას არჩევნებში. გალავნის სასოფლო საბჭოს დეპუტატობაზე სოფლის ოცდაორი მოწინავე ადამიანი იყრის კენჭს 17 მარტს. მათ შორის არიან წარჩინებული კოლმეურნეები ვლადიმერ დორეული, ანდრო ატაშვილი, მარიამ წიკლაური; მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატია კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის მუშაკი, მოწინავე კოლმეურნე ქეთევან რომელაშვილი.

ისევე როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მშრომელი გლეხობა, სოციალიზმის ნათელ გზაზე გამოიყვანა ქართლის უწინდელი ღარიბი სოფელი გალავანი საკოლმეურნეო წყობილებამ, წყობილებამ, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი კომუნისტური პარტიაა.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ჰყვავის და იფურჩქნება. გალავანში გაზაფხულია დამკვიდრებული.

დიდება ამ გაზაფხულს.

ვლ. თოდრდუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.
მცხეთა, სოფელი გალავანი.

ზესტაფონი. ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლი.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

ღვინოების კოლექცია

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქართველოს მეღვინეობა-მეღვინეობის ზონალურ საცდელ-სამეცნიერო სადგურს აქვს ღვინოების დიდი კოლექცია — ეგრეთწოდებული „ღვინის ბიბლიოთეკა", რომელიც 50 წელზე მეტია არსებობს. ამ საინტერესო და თავისებურ საცავში ყურძნის 52 სხვადასხვა ჯიშიდან მიღებული და სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში დამზადებული ღვინოების 437 ნიმუშია. ყველა ეს ნიმუში ნატურალური მშრალი სუფრის ღვინოებია.

აქედან აღსანიშნავია 1904 წლის მოსავლის „ციცქა", 1910 წლის „ერახუნა", 1907 წლის „ცოლიკაური", 1905 წლის „საფერავი", 1913 წლის „რისლინგი", 1920 წლის „უკრაინის თეთრა", 1904 წლის „ალექსანდრეული", 1907 წლის „მაღლარი".

1920 წლამდე კოლექციაში იყო 11 ჯიშის ძველი ღვინო, ხოლო მას შემდეგ ჯიშების რაოდენობამ 52-ს მიაღწია.

სულ კოლექციაში მოთავსებულია 10.908 ბოთლი ძველი ღვინო, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ყურძნის ჯიშებიდან მიღებული ღვინოების სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში დაძველების პროცესის, მათი განვითარებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შესწავლას, მათ შორის საუკეთესოების გამოვლინებას.

რიწის ტბაზე

სოხუმი. რიწის ტბა ჯერ კიდევ გაყინულია. თეთრი სამოსით დგას გარშემო ფიქვნარი. მარადიული თოვლის ქუდებით ბრწყინავენ გარემო მთების მწვერვალები; შავი ზღვის სანაპიროდან აქ სულ უფრო საგრძნობად აღწევს გაზაფხულის სუნთქვა. ტბისაკენ მიმავალი გზა ალაგ-ალაგ გაწმენდილია თოვლისაგან. ამ გზით უკვე გაიარეს ტურისტთა და ექსკურსანტთა პირველმა ავტობუსებმა და ავტომანქანებმა.

კურორტი რიწა ემზადება ახალი სეზონისათვის, რომელიც 15 აპრილს გაიხსნება. მიმდინარეობს სასტუმროს, რესტორანისა და სხვა შენობების შეკეთება. წლევანდელ სეზონში აქ გაიხსნება პანსიონატი ავტოტურისტებისათვის. მთებში, თითქმის მყინვართა ძირში, სადაც ავადხარის მინერალური წყლებია, გაიხსნება სავაჭრო პავილიონები.

წერილები რედაქციას

უპატრონო სახლი და უკმაყოფილო მოგინადრენი

ქამოს ქუჩაზე შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლის, სატყეო მრეწველობის სამინისტროს ყოფილი ადმინისტრაციული შენობისა და სხვა ახალ ნაგებობათა ლამაზ არქიტექტურულ ანსამბლში თითქოს დისონანსის შეტანად გაჩხირულა დროთა მსვლელობისაგან გახუნებული, ძველი ულაზათო სახლი № 18.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს სახლი უპატრონოდ არის მიტოვებული. მის მობინადრეებს არავინ აწუხებს ბინის ქირის გადასახდელად, არც არავინ ზრუნავს სახლის მოვლა-პატრონობისათვის. სახურავი დაზიანებულია და წვიმა ნიაღვარივით ჩამოდის, წყალსადენის მილები დამსკდარია, კიბის საფეხურები დამტვრეულია, საერთო სარგებლობის საპირფარეშო მოუწყობელი და გაბინძურებულია. ერთი სიტყვით, ამ შენობის მკვიდრნი მეტად მძიმე პირობებში იმყოფებიან.

ამ სახლში სხვა ორგანიზაციებთან ერთად მოთავსებულია ტრესტ „სოიუზპრომმეხანიზაციის" თბილისის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბრიგადა, რომელიც აწარმოებს საბაგირო გზების დაგეგმარებას ამიერკავკასიაში. ამ ბრიგადის მიერ შესრულებული პროექტებით აშენდა საუკეთესო საბაგირო გზები ტყვარჩელში, თუმანიანში, სადახლოში, კასპში, ახალციხეში და სხვაგან.

ოთახებში, სადაც ბრიგადის წევრები მუშაობენ, მძიმე ჰაერი დგას. ეს იმიტომ, რომ ქვევით მოუწყობელი, გაბინძურებული საპირფარეშოა.

შეუძლებელი გახდა გამოგვერკვია, თუ ვინ არის ამ სახლის პატრონი. მოლოტოვის რაიონის საბინაო სამმართველოს მუშაკები აცხადებენ: ეს სახლი ჩვენ არ გვეკუთვნისო. არც სხვა უწყებათა ხელმძღვანელებს სურთ იგი მათი ორგანიზაციის საკუთრებად აღიარონ.

იქნებ ქალაქის საბჭოს აღმასკომმა მაინც მიხედოს აღნიშნულ სახლს.

ბ. ნიშნიანიძე,
ტრესტ „სოიუზპრომმეხანიზაციის" ინჟინერი.

ვიზრუნოთ სოფლის კეთილმოწყობისათვის

ქარელის რაიონის სოფელ ატოცის კეთილმოწყობას არავითარი ყურადღება არ ექცევა. მოუხერხებელია სოფელში მისასვლელი გზები, თოვლის დობისა და წვიმების დროს საშინელი ტალახი დგება, გავლა ძნელდება. გზების მოხრეშვა ადვილად შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ კოლმეურნეობამ შარშან მიიღო თვითსაცლელი ავტომანქანა. მაგრამ ამ მანქანას ხშირად ქერძო სახლების მშენებლობაზე აზიდვინებდნენ ქვასა და ხრეშს, რის გამოც იგი მწყობრიდან გამოვიდა.

გარდა ამისა, სოფელი მოკლებულია კულტურულ მომსახურებას. მოსახლეობას ძვიანად უჩვენებენ კინოსურათებს. ამ საქმეში ხელს ისიც გვიშლის, რომ სოფელს არა აქვს კლუბი.

1955 წელს აქ გაიყვანეს რადიოსატრანსლაციო ხაზი. მშრომელთა უმრავლესობამ სახლებში გაიყვანა რადიო, მაგრამ ერთი თვის შემდეგ მისი მუშაობა შეწყდა. დიდი ხანია რადიო არ მუშაობს შეზობელ სოფლებშიც: ბრეძაში, ავლევში და აბანოში. კავშირგაბმულობის ქარელის რაიონული განყოფილება ამ საქმეს სრულებით არ აქცევს ყურადღებას.

ატოცში არსებობს შვიდწლიანი სკოლა. იმის გამო, რომ საშუალო სკოლა ამ სოფელს დაშორებულია დიდი მანძილით, ბევრი ჩვენი მოსწავლე სწავლას ვეღარ აგრძელებს და საშუალო განათლების მიუღებლად რჩება. რამდენიმე წლის წინათ სოფელში დაიწყეს კაპიტალური შენობის აგება. კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით, ეს შენობა დამთავრების შემდეგ უნდა გადასცემოდა სკოლას და მოგვეთხოვა საშუალო სკოლის გახსნა. მაგრამ მშენებლობის დამთავრებას არაფერი ეშველა.

რაიონის ხელმძღვანელობამ ანგარიში უნდა გაუწიოს სოფელ ატოცის მოსახლეობის თხოვნას, იზრუნოს ამ სოფლის კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

კ. ბოგინაშვილი,
ქარელის რაიონის სოფელ ატოცის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი.

საჭიროა დამაგვებითი ავტობუსები

ტყიბული უკვე მოზრდილი და საკმაოდ კეთილმოწყობილი ქალაქი გახდა. როგორც ყოველ ქალაქში, ტყიბულშიც ტრანსპორტის გაძლიერებული მოძრაობაა. განსაკუთრებით დიდია მიმოსვლა შახტებსა და ქალაქის ცენტრს შუა. სამუშაო დღის დაწყებისა და დამთავრების პერიოდში მგზავრების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ არსებული ავტობუსები მათს გადაყვანას ვერ აუდიან. ამის გამო ავტობუსების გაჩერებაზე მგზავრებს დიდხანს უხდებათ ლოდინი.

ტყიბულელი მეშახტეები ხშირად მიმართავენ ტყიბულის ავტოსატრანსპორტო კანტორას თხოვნით შახტებამდე ავტობუსების დამატებითი რეისების დაწესების შესახებ, მაგრამ ამაოდ.

კარგი იქნება, თუ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ტყიბულს დამატებით გამოუყოფს ავტობუსებს.

ვ. ბოჭორიშვილი,
ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე.

★

ხელოვნების ქრონიკა

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრა

ამ დღეებში საგასტროლოდ გაემგზავრა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ცაგარეიშვილი.

პირველი საგასტროლო კონცერტები გაიმართა სომხეთსა და აზერბაიჯანში. მალე ანსამბლი ეხტუმრება ჩრდილოეთ კავკასიასა და ციმბირს, ხოლო იქიდან ჩვენი ქვეყნის შორეული აღმოსავლეთის ქალაქებს. ანსამბლი კონცერტებს გამართავს აგრეთვე ყაზირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

საგასტროლო მოგზაურობა 3 თვეს გაგრძელდება. ანსამბლის შემადგენლობაშია 90 კაცი.

ახალი სპექტაკლი

ამ დღეებში მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — პროგრესული ესპანელი დრამატურგის ალეჰანდრო კასონას კომედია „ხეები კვდებიან ზეზეულად" (თარგმანი გ. ნუცუბიძისა).

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. ანჯაფარიძემ და ახალგაზრდა რეჟისორმა თ. კანდინაშვილმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ფ. ლაპიაშვილს, მუსიკა — რესპუბლიკის სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს ა. ბალანჩივაძეს, ცეკვების დადგმა — გ. დავითაშვილს, სიმღერების ტექსტი — რ. მაღლაფერიძეს.

მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები მ. ჯაფარიძე და ა. ომმაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. შავგულიძე, მსახიობები ე. მაღლაფერელი, ე. ვაჩნაძე, გ. ლეჟავა, თ. თეთრაძე, ა. სიხარულიძე, ი. საყვარელიძე, ლ. ანთაძე, ლ. შოთაძე, გ. გოგუა.

საორთქლმავლო დეპოს კლუბში

ჩვენი რესპუბლიკის ცნობილ მხატვრულ თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თბილისის საორთქლმავლო დეპოს თეატრალურ კოლექტივს, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობს ძველი სცენისმოყვარე ეთერ ვაშაკიძე.

დეპოს კლუბში სცენისმოყვარეთა ძალებით სისტემატურად იდგმება როგორც მცირე, ისე დიდი ზომის დრამატურგიული ნაწარმოებები. ამ დღეებში თეატრალურმა კოლექტივმა წარმოადგინა ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ლეგენდა-დრამა „ღალატი".

ამ სპექტაკლში მონაწილეობას იღებდა ქართული სცენის სახელოვანი ოსტატი თამარ ჭავჭავაძე. ზეინაბის როლის შემსრულებელ პროფესიონალ მსახიობს პარტნიორობას უწევდნენ ანანიას როლის შემსრულებელი, ორთქლმავალთა გუნდების უფროსი განმწესებელი ი. ხაბვიაშვილი, მემანქანეები მ. პაპაშვილი (სოლიმანი) და გ. გურგენაშვილი (ტრაკლე), დეპოს მორიგე ი. წულაია (ოთარ ბეგი), მემანქანის თანაშემწეები ს. კობახიძე (დათო) და თ. უზნაძე (ბესო), საორთქლმავლო გუნდების ოპერატორი ც. შაყულაშვილი (გაიანე), დეპოს კულტმუშაკი მ. სომხიევი (რუქაია), ზეინკალი ზ. იაკობიძე (საბა), წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სცენისმოყვარეები თ. ტაბლიკაძე, ბ. ლომიძე, თ. შაფთავა, ნ. მამულაშვილი და სხვ.

ადგილობრივი საბჭოების პასუხსაგები ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები მოითხოვს საბჭოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ამაღლებას, ხალხის ფართო მასების მონაწილეობას საბჭოების ორგანიზატორულ-სამეურნეო საქმიანობაში. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებას დიდად შეუწყობს ხელს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარება.

ჩხოროწყუს რაიონში ფართოდ გაშალა მზადება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის. კოლმეურნეობებში, საწარმოდაწესებულებებში გაიმართა წინასაარჩევნო კრებები, რომლებზეც რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს 35, ხოლო სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად 282 მოწინავე ადამიანი. რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული არიან ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ჭიჭინაძე, ხაბუმეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნ. ქარჩავა, ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ჯიქია და სხვები. საოლქო საარჩევნო კომისიებმა ისინი უკვე გაატარეს რეგისტრაციაში.

ამჟამად რაიონის 24 აგიტპუნქტი, რომლებიც 700-ზე მეტ აგიტატორს აერთიანებენ, ეწევა დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციას, ამომრჩევლებს აცნობს მათი შრომისა და ბრძოლის გზას. კარგად მუშაობენ სოფლების მუხურის, კირცხის, ჭოღის აგიტპუნქტები. აგიტატორები რ. ჩიქოვანი, მ. გობეჩია, ნ. იზორია და სხვები საინტერესოდ აწყობენ საუბრებს, მშრომელებს აცნობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მასალებს. გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა. რაისაბჭოს კულტურის განყოფილების ლექტორთა ჯგუფი მოსახლეობაში მართავს ლექციებს თემებზე: „სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი", „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მთელ მსოფლიოში", „სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება" და სხვ.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობის სერიოზული შემოწმებაა. ამომრჩევლები ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ რამდენი სახლი აიგო სოფელსა თუ ქალაქში, რამდენი სკოლა და საავადმყოფო გაიხსნა, როგორ გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და სხვ.

ჩხოროწყუს რაიონულმა საბჭომ, სასოფლო საბჭოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს საკოლმეურნეო სოფლების მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გასულ სამეურნეო წელს კოლმეურნეობათა საერთო ფულადმა შემოსავალმა 39 მილიონ მანეთს მიაღწია.

კარგად მუშაობს სოფელ ხაბუმეს სასოფლო საბჭო, მისი აღმასკომი (თავმჯდომარე ს. აფხაზავა). საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებს დაწესებულ ვადებში იწვევენ. განსახილველი საკითხების მომზადებაში ენერგიულად მონაწილეობს აქტივი. ინიციატივას იჩენენ დეპუტატები. სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე ი. ახალაია) თავისი საქმიანობით ხელს უწყობს კოლმეურნეობებს წარმატებათა მოპოვებაში. კომისია აქტივის ფართო მონაწილეობით საფუძვლიანად სწავლობს და სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე განსახილველად აყენებს მნიშვნელოვან საკითხებს. ამას წინათ აღმასკომმა მოისმინა სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მოხსენება საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შესახებ. აღინიშნა წარმატებანი და ნაკლოვანებები, დაისახა სათანადო ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, აქტივი. ასეთი მუშაობის შედეგია, რომ სასოფლო საბჭოს სამივე კოლმეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი.

სასოფლო საბჭოების მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც. მაგალითად, ახუთისა და ზუბის სასოფლო საბჭოებში არარეგულარულად იწვევენ სესიებსა და აღმასკომის სხდომებს, არ განიხილავენ არსებით და მომწიფებულ საკითხებს, სათანადო ყურადღება არ ექცევა მიღებული დადგენილებების შესრულებას. ამ სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები სუსტად მუშაობენ, მოზიდული არა ჰყავთ აქტივი.

გასულ წელს რაიონში თვითეულ ძროხაზე 505 კილოგრამი რძე იქნა მიღებული. მართალია, წინა წლებთან შედარებით ზრდა არის, მაგრამ წლიური გეგმა მაინც არ შესრულდა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მთელი რიგი სასოფლო საბჭოების აღმასკომები, დეპუტატები, აქტივი ქმედითად არ იბრძოდნენ ჩამორჩენის დასაძლევად. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში სერიოზული ჩამორჩენა აქვთ ლეწურწუმის სტალინის, მუხურის კაგანოვიჩის სახელობის, ახუთისა და ჭოღის კოლმეურნეობებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაიონში მეცხოველეობის ტიპური სადგომების მშენებლობაში სათანადო დახმარებას არ გვიწევს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებამ რაიონის მშრომელთა ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. კოლმეურნეობებში იმისათვის იბრძვიან, რომ წელს სახელმწიფოს ჩაბარონ 4.840 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. თუ შარშან ჰექტარზე 14 ცენტნერამდე სიმინდი მივიღეთ, წელს განზრახული გვაქვს 16,5 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანოთ. თვითეულ ძროხაზე 650 კილოგრამი რძე მივიღოთ. ნაკისრ ვალდებულებათა განსახორციელებლად ფართოდ გაიშალა მუშაობა. კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა უკვე მოხნეს 1.126 ჰექტარი ფართობი, დაბარეს 1.228 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მოზიდეს 980 ტონა მინერალური სასუქი.

როგორც ცნობილია, საკმარისი არ არის მარტო მოსავლიანობის გეგმის შესრულება. საჭიროა ვისწავლოთ ანგარიშიანობა, გავაიაფოთ პროდუქციის თვითღირებულება მის ერთეულზე დანახარჯის შემცირების გზით. სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. საბჭოების პასუხსაგებ ამოცანას ის წარმოადგენს, რომ სოფლის მეურნეობა რენტაბელური იყოს. სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელებისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ ამა და ამ კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულა დავალებანი, მაგრამ იმის ანალიზს კი არ აკეთებენ, თუ რა დაჯდა პროდუქცია, რა რაოდენობით არის იგი მიღებული ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე. რაიონში ჯერ კიდევ მაღალია ერთეული პროდუქციის მისაღებად გაწეული ხარჯები. დაახლოებით ერთი ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის ვხარჯავთ 5,52 შრომადღეს, ერთი ცენტნერი ჩაის მიღებაზე — 13,97, ერთი ცენტნერი რძის წარმოებაზე — 6,9 შრომადღეს.

ახლა ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი საბრძოლო ამოცანაა მაღალ დონეზე ჩავატაროთ საარჩევნო კამპანია, არჩევნების მსვლელობამ შედეგად უნდა მოგვცეს მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის შემდგომი ამაღლება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა. პრინციპული კრიტიკა დაგვეხმარება არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა პირნათლად განხორციელებაში.

შ. ხუნტუა,
ჩხოროწყუს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

საუგარი სოფლის ინტელიგენციაზე

კოლმეურნეობის ბიბლიოთეკარი

კოლმეურნეობის ფართო, ორსართულიანი კანტორის შენობაში, რომელიც ამას წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ, ბიბლიოთეკასაც საკმაო ფართობი დაუთმეს. ნათელ ოთახში კედლების გაყოლებით ჩამწკრივებული კარადები სავსეა წიგნებით. ბიბლიოთეკა მდიდარია საინტერესო მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით. ყოველთვიურად იზრდება წიგნის ფონდი. ახლა აქ 6.000 ცალი წიგნია; გამოწერილი აქვთ ბევრი სხვადასხვა ჟურნალი, კოლმეურნეები ყოველდღიურად ახალ გაზეთებს კითხულობენ.

ნ. რეხვიაშვილი.

• • •

ბიბლიოთეკას მზრუნველი ხელი ატყვია. 3 წელია, რაც მას ემსახურება ნათელა რეხვიაშვილი, რომელიც განსაკუთრებული მზრუნველობით და პატივისცემით ეპყრობა თვითეულ მკითხველს, გულისხმიერად არჩევს მათთვის საინტერესო ლიტერატურას.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის კოლმეურნეობის ბიბლიოთეკარი ნ. რეხვიაშვილი კოლმეურნეთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მას იცნობენ როგორც ენერგიულ მუშაკს, იცნობენ კოლმეურნეები, დიასახლისები, აგრეთვე მოხუცებიც და ინვალიდებიც, რომლებსაც ბიბლიოთეკაში მისვლის საშუალება არა აქვთ, მაგრამ პირველი მოთხოვნისთანავე ბიბლიოთეკარს მათთან ბინაზე მიაქვს წიგნები.

ბიბლიოთეკარი მეცხოველეების, მემინდვრეების ხშირი სტუმარია. მოსავლის აღების დღეებში ამნ. რეხვიაშვილმა მოძრავი ბიბლიოთეკები მოაწყო. წიგნებს უკითხავდა და ესაუბრებოდა კომბაინერებს, ტრაქტორისტებს, კოლმეურნეებს. გასულ წელს 75-ჯერ მოაწყო წიგნის ხმამაღლა კითხვა. წელიწადზე მეტია მეცხოველეობის ფერმებში სამი მოძრავი ბიბლიოთეკა მუშაობს და ისინი ყოველთვიურად ახალი წიგნებით მარაგდება. რეხვიაშვილი, პერიოდულად მუშაობს საველე გაზეთებზე, მინდვრის სამუშაოების დროს ბრიგადებს ეხმარება ამ გაზეთების გაფორმებასა და წერილების დამუშავებაში.

ნ. რეხვიაშვილმა მრავალი კოლმეურნე ჩაება მკითხველთა კონფერენციებში. მეძროხეობის ფერმაში მოაწყეს ს. მთვარაძის „ჩაშლილი ქორწილის" გარჩევა, რაშიც მეცხოველეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მოთხრობა ყველას მოეწონა, მაგრამ აქვე გამოთქმულ იქნა კრიტიკული შენიშვნები. სხვებთან ერთად სიტყვით გამოვიდა მწყემსი ნოე ცქიფურიშვილი.

ბიბლიოთეკარის დამსახურებაზე, მის ღვაწლზე ისიც მეტყველებს, რომ 550 კაცი მუდმივი მკითხველია. კოლმეურნე ჟუჟუნა ქასრაშვილი, მემინდვრეობის 3ე-8 ბრიგადის მერგოლური, მონდომებით დაეწაფა წიგნებს; სწავლობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს, პარტიის XX ყრილობის მასალებს, კითხულობს აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას. გასულ წელს მან 30 წიგნი წაიკითხა. საგულისხმოა მოხუცი კოლმეურნე მკითხველების მაგალითი. 80 წლის ილია გამეზარდაშვილმა შარშან 20 წიგნი წაიკითხა, მათ შორის ა. პუშკინის „ზღაპრები", ჰ. ფასტის „თავისუფლების გზა", ა. ბელიაშვილის „ნოველები" და სხვ. აქტიური მკითხველია აგრეთვე მოხუცი ივანე ბოჭორიშვილი.

ახლა, როცა ფართოდ არის გაჩაღებული საარჩევნო კამპანია, რაიონის აგიტატორებთან ერთად ნ. რეხვიაშვილიც ენერგიულად ჩაება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში; ბიბლიოთეკის კედლები გაალამაზა საარჩევნო პლაკატებით, ლოზუნგებით, მოაწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი გამოფენა, შეარჩია ლიტერატურა აგიტატორების დასახმარებლად. იგი ამომრჩევლებს ყოველ თავისუფალ დროს უკითხავს წიგნებს, ესაუბრება მათთვის საინტერესო საკითხებზე, ასწავლის საარჩევნო ტექნიკას, ხალხისა მოთხოვნილებებს. ამ-ბრისას მოიტანა ... კოლმეურნეო ცხოვრების ამსახველ ცოცხალ და საინტერესო ფაქტებს.

ამას წინათ ბიბლიოთეკარმა მოიწვია კოლმეურნეები და მოაწყო მათთან უხუცესი ამომრჩევლის, აქტიური მკითხველის ილია გამეზარდაშვილის შეხვედრა. მოხუცი ილია წარსული წლების ცოცხალი მატიანეა. მან ამომრჩევლებს მოუთხრო ძველი, დუხჭირი ცხოვრების შესახებ.

ვიწრო საურმე გზები, ფიცრულ ოდასახლებში ჭრაქები... რას წარმოადგენდა ძველათ სოფელი ჭაბუკიანი? მოხუცებს კარგად ახსოვთ, რომ უამინდობის დროს სოფლის ქუჩებში ადამიანები ტალახში იფლობოდნენ, ურმებსაც კი უჭირდათ გავლა. ახლა ფართო, კეთილმოწყობილი გზატკეცილია.

წინათ ხორბლის შოვნა სჭირდა. იყიდიდნენ და მერე მისი დაფქვა ძნელდებოდა. ახლა კოლმეურნეთა ოჯახები უზრუნველყოფილია საზრდოთი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხუთი წყლის წასაქვილი ააშენეს, კოლმეურნეებს საუკეთესო ელექტროწისქვილიც აქვთ, რომელიც ყოველდღიურად 15 ტონა მარცვალს ფქვავს. ამ დღეებში დაამთავრეს მექანიკური სახერხის მშენებლობა. ახლა ყოველდღიურად 8-10 კუბმეტრ ხის მასალას ხერხავენ. კოლმეურნეთა ოჯახები რადიოფიცირებულია, განათებულია ელჩის ნათურებით; მშრომელთა სამსახურშია საშუალო სკოლა, საექიმო უბანი, საავადმყოფო, სასადილო, მაღაზიები.

— ვუყურებ სოფლის ფართო ქუჩას, — ამბობს მოხუცი კოლმეურნე, — ახლად აშენებულ ქვიტკირის ლამაზ სახლებს, და გული სიხარულით მევსება. ბედნიერი აწმყო და კიდევ უკეთესი მომავალი აქვს ჩვენს ახალგაზრდობას. დღეს მე და ნათელამ ჩამოვთვალეთ — უკანასკნელ სამ წელიწადში ჭაბუკიანში 45 კომლმა აიშენა ორსართულიანი სახლები. თავისი დღენი სალარიბეში გაატარა ჩვენმა კოლმეურნე მჭედელმა ქიტესა რეხვიაშვილმა. ასევე იყვნენ მეურმე გრიგოლ ქათამაძე, მწყემსი მიხეილ თურქაძე და სხვები. კოლმეურნეობამ მათ ბედნიერი ცხოვრების საშუალება მისცა. მათ ახლა კოხტა ქვიტკირის სახლები აქვთ.

ბევრ საინტერესო ამბავზე ილაპარაკა ბიბლიოთეკაში მოხუცმა. მისი საუბარი ამადლევებელი და მიმზიდველი იყო. მოხუცი ამომრჩევლის შემდეგ ბიბლიოთეკარმა შეავსო საუბარი. მან დამსწრეთ მოუთხრო, თუ როგორ სწრაფად და თვალდათვალ იზრდება საკოლმეურნეო ცხოვრება შემოქმედებითი შრომის შედეგად. ნათელა რეხვიაშვილმა ზოგიერთი ციფრიც დაასახელა:

— 1952 წელს ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავალი 2 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა, 1955 წელს კი 3 მილიონს გადააჭარბა. თვითეული შრომადღის ღირებულება 5 მანეთით გაიზარდა. უწყვეტ განაწილდა მარცვლეულიც. კოლმეურნეობის გამგეობამ დიდი ყურადღება მიაქცია მეგვენახეობის განვითარებას. უკანასკნელ ორ წელიწადში ვენახების ფართობი 16 ჰექტარამდე გაიზარდა. შეუნელებელი ტემპით ვითარდება მეცხოველეობა. გასულ სამეურნეო წელს საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 760 ლიტრით მეტი რძე, ვიდრე 1952 წელს. მრავალი ახალი ნაგებობა შეემატა კოლმეურნეობას. აშენდა ორი კულტურული სადგომი 148 ძროხისათვის, ერთი სახბორე 76 ხბოსათვის, ავტოგარაჟი, თამბაქოს საშრობი ფარდული, საქათმე 1.000 ფრთა ფრინველისათვის, 2.000 ტონის ტევადობის სასამინდე და სხვ.

დასასრულ ბიბლიოთეკარმა ამომრჩევლებს გააცნო კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანთა შრომითი საქმიანობა. ამომრჩევლები კმაყოფილნი დაემშვიდობნენ თავიანთ ბიბლიოთეკარს...

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ბიბლიოგრაფია

საჭირო წიგნი

პროფესორ დ. მამამთავრიშვილის ნაშრომი „მუცლის მწვავე ქირურგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა", რომელიც გათვალისწინებულია ახალგაზრდა ქირურგებისათვის, სხვა სპეციალობის ექიმებსაც დაეხმარება.

„მწვავე მუცელი" ცალკე დაავადება არ არის, მას იწვევენ ისეთი დაავადებანი როგორიც არის მწვავე პერიტონიტი, მწვავე აპენდიციტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ნაწლავის მწვავე გაუვალობა, ხოლეცისტიტი და სხვ. იგი მიგვითითებს მუცლის ღრუში უეცარ კატასტროფულ მდგომარეობაზე, რომელიც ქირურგისგან მოითხოვს სასწრაფო და გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას. აღსანიშნავია ის, რომ „მწვავე მუცელი" ექიმს არ აძლევს მოფიქრებისათვის საკმარის დროს. დიაგნოზის სწრაფი დადგენა კი მკურნალის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა. რადგან „მწვავე მუცლის" დროს „რაც უფრო დიდი ხანი გადის ოპერაციამდე, მით უფრო მოკლეა ავადმყოფის სიცოცხლე ოპერაციის შემდეგ".

ნაშრომში ძირითად ხაზებში განხილულია „მწვავე მუცლის" გამომწვევი თვითეული დაავადება. წიგნი დაწერილია გამართული ქართული ენით.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნაც. 65-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მუცლის კუნთების დაჭიმულობა ან კონტრაქტურა არ არსებობს". მაცალკეგებელი კავშირის (ან) ნაცვლად უნდა იყოს მაიგივებელი კავშირი (ანუ), ვინაიდან დაჭიმულობა და კონტრაქტურა აქ სინონიმებია.

გვხვდება არასწორი გამოთქმები, მაგალითად, ხოლეცისტიტის ნაცვლად ავტორი ხმარობს ქოლეცისტიტს.

სასურველი იყო იმ დაავადებათა და დაზიანებათა მოკლე მიმოხილვა, რომლებიც იძლევიან „მწვავე მუცლის" ყალბ ნიშნებს, მაგრამ არ წარმოადგენენ მუცლის ღრუს მწვავე დაავადებას და სწორედ ამიტომ ოპერაციულ ჩარევას არ მოითხოვენ. ამ დაავადებებიდან განსაკუთრებით ვრცელი მიმოხილვის ღირსია თირკმლის ჭვალი.

კარგი იქნება, თუ ავტორი ამ მცირე შენიშვნებს გაითვალისწინებს ნაშრომის მეორე გამოცემისას, რომლის საჭიროება დიდია, ამით საქმედგამი კარგ სამსახურს გაუწევს ახალგაზრდა ექიმებს მშრომელი მოსახლეობის უკეთ მომსახურების საქმეში.

ემ. ჟურდიანი,
ექიმი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის კ. ადენაუერის პასუხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილზე

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, 8 თებერვალს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ა. ა. სმირნოვი ეწვია ფედერალურ კანცლერს კ. ადენაუერს და გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი (**რედაქციის შენიშვნა:** ნ. ა. ბულგანინის წერილი გამოქვეყნდა საბჭოთა პრესაში 12 თებერვალს).

27 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვ. ჰაასი. ელჩმა გადასცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის კ. ადენაუერის **პასუხი** ნ. ა. ბულგანინის ამა წლის 5 თებერვლის წერილზე.

ქვემოთ ქვეყნდება ფედერალური კანცლერის კ. ადენაუერის საპასუხო წერილის ტექსტი.

«მის აღმატებულებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრემიერ-მინისტრს გატონ ნ. ა. ბულგანინს

ქ. მოსკოვი

დიდად პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

თქვენი 1957 წლის 5 თებერვლის წერილი, რომელიც გადმომცა ბ-ნმა ელჩმა სმირნოვმა, ძალიან გულდასმით წავიკითხე, მისი მნიშვნელობის შესაბამისად, და გულმოდგინედ შევისწავლე მისი შინაარსი. მე კვლავ გადავსინჯე ჩანაწერი ჩვენი მოსკოვის მოლაპარაკებისა 1955 წლის სექტემბერში და ჩვენი ერთობლივი საბოლოო კომუნიკე. გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების შეფასებისას მე აგრეთვე მხედველობაში მივიღე ყველაფერი, რაც მოსკოვის მოლაპარაკების შემდეგ მოხდა ჩვენს ორ მთავრობასა და ჩვენს საელჩოებს შორის. სავსებით ბუნებრივია, რომ დიპლომატიური ურთიერთობის განახლებისას, რომელიც ესოდენ ტრაგიკულად და ესოდენ ხანგრძლივი დროით იყო შეწყვეტილი, წარმოიშობა უთანხმოებანი და სიძნელეები. ზოგიერთი მათგანი უმნიშვნელოა და მე მიმაჩნია, რომ არ ღირს მათზე შეჩერება.

რაც შეეხება საკითხებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი მოსკოვის მოლაპარაკების შემდეგ, მინდა ჯერ შევეხო ჩვენს საკუთრივ ურთიერთობას. ეს ურთიერთობა ცუდად როდი ვითარდებოდა. საბჭოთა კავშირიდან ფედერაციულ რესპუბლიკაში საქონლის შემოტანა 1954 წლის 93,1 მილიონი გერმანული მარკიდან განზარდა 185,8 მილიონ მარკამდე 1956 წლის პირველ 11 თვეში. ფედერაციული რესპუბლიკიდან საბჭოთა კავშირში საქონლის გატანა ამავე დროის მანძილზე 52,8 მილიონი გერმანული მარკიდან გაიზარდა 267,1 მილიონ გერმანულ მარკამდე. ასეთი დასაწყისის შემდეგ შეიძლება კვლავაც განვავითაროთ სავაჭრო ურთიერთობა, და მე მოგმართავთ წინადადებით დავიწყოთ უახლოეს ხანში ამაზე მთავრობათა მოლაპარაკება. მე ვიზიარებ თქვენს აზრს, რომ სავაჭრო ურთიერთობის განვითარება ხელს შეუწყობს პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებას.

ამავე მიზეზით მოგმართავთ წინადადებით განვიხილოთ სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხები დასაწყისისთვის დიპლომატიური გზით.

ბოლოს, მე მითითებას მივცემ გერმანიის ელჩს მოსკოვში წარმოგიდგინოთ წინადადებანი საკონსულო უფლებათა კონვენციის შესახებ.

როგორც ქმაყოფილებით ვაღნიშნე, თქვენს წერილში საეჭვო არ გაგიხდიათ ფედერაციული რესპუბლიკისა და მისი მთავრობის მშვიდობიანი განზრახვები. მით უმეტეს ვწუხვარ, რომ თქვენ სწორად არ გესმით იმ კავშირების სისტემის არსი და მიზნები, რომლებსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ეკუთვნის, მიგაჩნიათ რა, რომ მოკავშირეები ფედერაციულ რესპუბლიკას აყენებენ აგრესიის გზაზე. ნება მიბოძეთ, პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო, მოგგაონოთ, რომ როგორც თქვენ, ისე ბატონმა ხრუშჩოვმა ჩვენი უკანასკნელი მოლაპარაკების დროს მოსკოვში სიტყვასიტყვით შემდეგი თქვით: „ჩვენ არ მოგვწონს თქვენი შესვლა ნატოში, მაგრამ თქვენ შეხვედით ნატოში, ხოლო ჩვენ რეალისტები ვართ და ვიღებთ ამას როგორც ფაქტს“. მე მივესალმები, თუ თქვენ შეინარჩუნებთ ამ რეალისტურ მიდგომას. მაგრამ უწინარეს ყოვლისა მინდა მთელი სიმტკიცით ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თავდაცვის კავშირებს, რომელთა წევრი არის ფედერაციული რესპუბლიკა, მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი აქვს. სავსებით ცხადია, რომ არ შეიძლება მათი გამოყენება იმ მიზნებისათვის, რომლებიც არ შეესაბამებიან ამ თავდაცვითს ხასიათს. ის ერთგულება, რომლითაც ფედერაციული რესპუბლიკა იცავს და კვლავაც დაიცავს თავის ვალდებულებებს ამ კავშირების მიხედვით, შეიცავს აგრეთვე ერთგულებას იმ პრინციპისადმი, რომლითაც ეს კავშირები განისაზღვრებიან. სახელდობრ მშვიდობისმოყვარეობისა და ერთობლივი თავდაცვისათვის მზადყოფნის პრინციპისადმი.

შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ მე მთელი გერმანელი ხალხის სახელით ვამბობდი, როცა მოსკოვში მგზნებარედ ვიძლეოდი გაფრთხილებას ახალი სამხედრო კონფლიქტებისაგან და ვიხსენებდი მძიმე შედეგებს, რომლებიც უკანასკნელმა ომმა გამოიწვია. ამიტომ ფედერალური მთავრობა მუდამ განსაკუთრებით აღნიშნავდა თავის ინტერესს განიარაღების საკითხისადმი და მუდამ მზად იქნება მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებებში ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ არ შეიძლება არა ვთქვა, რომ ფედერალური მთავრობის რწმენით მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება წარმატება, თუ მისი მონაწილე ყველა სახელმწიფო უთუოდ დაემორჩილება განუსაზღვრელ და ეფექტიან კონტროლს, განსაკუთრებით ატომგულის იარაღისადმი, და თუ უწინარეს ყოვლისა აღმოიფხვრება პოლიტიკურ დარგში არსებული დაძაბულობის მიზეზები.

ნება მიბოძეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ახლა შევეხო ორ გარემოებას, რომლებიც ნამდვილად წარმოადგენენ ძალიან დიდ დაბრკოლებას ჩვენს ორ ქვეყანას შორის კარგი და მეგობრული ურთიერთობისათვის, რომელიც თქვენ გსურთ. საქმე ეხება გერმანიის სახელმწიფო ერთიანობის აღდგენის საკითხს და სამშობლოში იმ გერმანელთა დაბრუნების საკითხს, რომლებსაც ჯერ კიდევ აკავებენ საბჭოთა კავშირში.

თქვენს წერილში ამბობთ, რომ უნდა დავმყაროთ ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტს. მე არ შემიძლია — როგორც ეს თქვენ საკმაოდ იცით — გავიზიარო ეს აზრი. გთხოვთ გაიგოთ ჩემი გრძნობები, როცა გეუბნებით მთელი სიმტკიცით და სერიოზულობით: თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, და ბატონმა გენერალურმა მდივანმა ხრუშჩოვმა პირდაპირ აღიარეთ მოსკოვის მოლაპარაკების დროს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც მოკუპირებელი სახელმწიფო, მოვალეა დასავლეთის სამ სახელმწიფოსთან ერთად აღადგინოს გერმანიის ერთიანობა. საბჭოთა კავშირის ეს ვალდებულება არსებობს, და იგი უნდა შესრულდეს, თუ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თანამშრომლობა, რომელიც ჩვენც გვსურს, სრული მოცულობით უნდა განხორციელდეს ორივე ხალხის და ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ. დასავლეთის სამი სახელმწიფო მზად არის ამ საკითხის გადაწყვეტისათვის. გერმანიის ფედერალური მთავრობა თავის პასუხში თქვენი მთავრობის 1956 წლის 22 ოქტომბრის ნოტაზე დაწვრილებით შეეხო თავისუფლების პირობებში გერმანიის სახელმწიფო ერთიანობის აღდგენის საკითხს. მიუხედავად ამისა, მე უკვე ამ პირად წერილში გულითადად და დაბეჯითებით გთხოვთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, თავი არ აარიდოთ პასუხისმგებლობას გერმანიის სახელმწიფო ერთიანობის აღდგენისათვის იმით, რომ თქვენ ხაზგასმით აღნიშნავთ ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობას და აცხადებთ, რომ გერმანიის პრობლემის გადაჭრა შეიძლება გამოინახოს მხოლოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დაახლოების გზით. ვერაფერი ვერ შეუწყობს უკეთ ხელს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ვიდრე ხალხთა თვითგამორკვევის უფლების გულწრფელი პატივისცემის დადასტურება, რაც თქვენ და თქვენს მთავრობას შეგიძლიათ მოგვცეთ თქვენი თანხმობით, რომ რაც შეიძლება მალე გაერთიანდეს გერმანიის ორივე ნაწილი სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების საფუძველზე. გაათავისუფლეთ 17 მილიონი გერმანელი, ბატონო პრემიერ-მინისტრო, და თქვენ უაღრესად დიდ სამსახურს გაუწევთ ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრულ თანამშრომლობას.

ნება მიბოძეთ ახლა შევეხო მეორე გარემოებას, რომელიც აგრეთვე ძლიერ უშლის ხელს ჩვენს ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას. საქმე ეხება იმ გერმანელთა რეპატრიაციას, რომლებსაც საბჭოთა კავშირში აკავებენ. ნება მიბოძეთ მოგაგონოთ საუბარი, რომელიც ჩვენ ამის შესახებ გვქონდა მოსკოვში. ჩვენ ჯერ ლაპარაკი გვქონდა დარჩენილ სამხედრო ტყვეებზე, რომლებსაც, როგორც თქვენ თქვით, ნაწილობრივ მისჯილი ჰქონდათ თავისუფლებისა და ბედნიერებისაგან. ეს ადამიანები, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბოლო ადამიანამდე, ბოლო ადამიანამდე, ბოლო ადამიანამდე